

შპს Gift King

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
ბოლო გვერდი	12

შპს „GIFT KING“

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში**

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	3	144	65
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	959	1,309
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,454	1,774
სულ მიმდინარე აქტივები		2,557	3,148
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები		51	28
სულ გრძელვადიანი აქტივები		51	28
სულ აქტივები		2,608	3,176
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	1,411	1,226
ფინანსური იჯარა		20	-
საგადასახადო ვალდებულება		5	58
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	7	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,436	1,284
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	7	697	1,211
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		697	1,211
სულ ვალდებულებები		2,133	2,495
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		475	681
სულ საკუთარი კაპიტალი		475	681
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,608	3,176

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

შპს „GIFT KING“

**სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში**

	შენიშვნები	2018
ამონაგები	8	841
რელიზებული საქონლის თვითღირებულება	9	(679)
საერთო მოგება		162
ადმინისტრაციული ხარჯი	10	(265)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		18
საპროცენტო ხარჯები		(121)
(ზარალი)/მოგებადაბეგვრამდე		(206)
მოგების გადასახადი		-
წმინდა (ზარალი)/მოგება		(206)

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

შპს „GIFT KING“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017		-	681	681
პერიოდის ზარალი		-	(206)	(206)
31 დეკემბერი, 2018		-	475	475

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „GIFT KING“

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში**

	2018
მოგება დაბეგვრამდე	(206)
კორექტირება	
ცვეთა და ამორტიზაცია	26
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(18)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	350
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	320
(კლება)/ზრდა საგადასახადო ვალდებულებები	(53)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	185
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	604
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(49)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(49)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
სესხის აღება	139
სესხის გადახდა	(639)
ფინანსური იჯარის აღება	47
ფინანსური იჯარის გადახდა	(23)
ფულადი ნაკადების გასვლა საფინანსო საქმიანობიდან	(476)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	79
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	65
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	144

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „Gift King“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 400040031) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2012 წლის 28 თებერვლიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გურამიშვილის გამზირი, N15.

დაარსების დღიდან 2018 წლის 5 მარტამდე 100% წილის მფლობელი იყო ბელა მარტიაშვილი (2016 წლის 9 ნოემბრამდე) შემდგომ 100% წილის მფლობელი თეა ბორცვაძე, 2018 წლის 5 მარტიდან მარინე მაჩიტაძე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - მაია გელაშვილი.

შპს „Gift King“-ის საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ჭურჭლით, თიხის ჭურჭლით, ფაიფურით და სამზარეულოს საკუთნობით.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი

კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2018 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, 2018 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა

აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოკლებულია მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს

თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

შპს „GIFT KING“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი

ათას ლარებში

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	123	-
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	12	9
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	9	56
სულ ფულადი სახსრები	144	65

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება დებიტორული დავალიანებისგან, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მიხედვით, შესაბამისად - 959 ათასი ლარი და 1,309 ათასი ლარი.

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები შედგება მზა პროდუქციისგან, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მიხედვით, შესაბამისად - 1,454 ათასი ლარი და 1,774 ათასი ლარი.

6. სესხები

სესხები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე სასესხო ვალდებულება ლარში	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება უცხოურ ვალუტაში	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება ლარში	344	542
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება უცხოურ ვალუტაში	353	669
სულ სესხები	697	1,211

7. ამონაგები

ამონაგები	2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	1,110
ფასდათმობა	(269)
სულ ამონაგები	841

8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2018
მასალის ღირებულება	661
მომსახურების ღირებულება	18
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	679

9. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2018
ხელფასის ხარჯი	91
ცვეთის ხარჯი	26
სხვა ხარჯი	148
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	265

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენა პერიოდის შემდგომ არ ფიქსირდება.

11. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის ხელფასი	2018
ხელფასი და სხვა სარგებელი	11
სულ მენეჯმენტის ხელფასი	11

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 27 სექტემბერს.

შპს „GIFT KING“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	3	144	65
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	959	1,309
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,454	1,774
სულ მიმდინარე აქტივები		2,557	3,148
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები		51	28
სულ გრძელვადიანი აქტივები		51	28
სულ აქტივები		2,608	3,176
<i>ვალდებულებები</i>			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	1,411	1,226
ფინანსური იჯარა		20	-
საგადასახადო ვალდებულება		5	58
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	7	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,436	1,284
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	7	697	1,211
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		697	1,211
სულ ვალდებულებები		2,133	2,495
<i>კაპიტალი</i>			
გაუნაწილებელი მოგება		475	681
სულ საკუთარი კაპიტალი		475	681
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,608	3,176

ხელმოწერილი ბილი:

მ. გაბაშვილი
დირექტორი



შპს „GIFT KING“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	2018
ამონაგები	8	841
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	9	(679)
საერთო მოგება		162
ადმინისტრაციული ხარჯი	10	(265)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		18
საპროცენტო ხარჯები		(121)
(ზარალი)/მოგებადაბეგვრამდე		(206)
მოგების გადასახადი		-
წმინდა (ზარალი)/მოგება		(206)

ხელმოწერილი პირი:

მ. გადამჭერი
დირექტორი



შპს „GIFT KING“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში

	2018
მოგება დაბეგვრამდე	(206)
კორექტირება	
ცვეთა და ამორტიზაცია	26
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(18)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	350
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	320
(კლება)/ზრდა საგადასახადო ვალდებულებები	(53)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	185
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	604
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(49)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(49)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
სესხის აღება	139
სესხის გადახდა	(639)
ფინანსური იჯარის აღება	47
ფინანსური იჯარის გადახდა	(23)
ფულადი ნაკადების გასვლა საფინანსო საქმიანობიდან	(476)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	79
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	65
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	144

ხელმოწერილია:

გ. ბაღაძე
დირექტორი



შპს „GIFT KING“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017		-	681	681
პერიოდის ზარალი		-	(206)	(206)
31 დეკემბერი, 2018		-	475	475

ხელმომწერი პირი:

ბ. გადაჭილაძე
დირექტორი

